NEWSLETTER (February, 2015)

ანგარიშის - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2014 პრეზენტაცია

IDFI-მ გამართა ანგარიშის - „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2014“ პრეზენტაცია და საჯარო ინფორმაციის თვალსაზრისით ყველაზე ღია და დახურული საჯარო დაწესებულებები დაასახელა. (იხილეთ რეიტინგი)

გამართულ ღონისძიებას ესწრებოდნენ სხვადასხვა საჯარო უწყებების, ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები.

IDFI-ის გუნდის მიერ 2014 წელს პროექტის განხორციელებისას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სულ გაიგზავნა 5 466 განცხადება 308 საჯარო დაწესებულებაში.

IDFI-ს დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილმა ანგარიშის პრეზენტაციზე აღნიშნა, რომ 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, საწყის ეტაპზე, (2012 წლის ოქტომბერი - 2013 წლის სექტემბერი) სრულყოფილად გაცემული პასუხების 81%-იანი მაჩვენებელი მიმდინარე პროექტის ფარგლებში 66% - მდე შემცირდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები 11%-დან 26%-მდე გაიზარდა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე არსებულ ნიშნულს მიუახლოვდა.

IDFI-ის გაუმჭვირვალობის სერტიფიკატი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვისათვის გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელსაც ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტი კი დასახელდა, როგორც 2014 წელს ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულება.

სპეციალური ჯილდოები (სიგელები) “2014 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის“ მიიღეს შემდეგმა ცენტრალურმა საჯარო დაწესებულებებმა:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- აჭარისა/რ-ისგანათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროექტი სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება წარმატებით დასრულდა

14 წარმატებული უცხოელი მკვლევარი, რომლებიც საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის საკითხებს იკვლევენ, საქართველოს სპეციალურად სამეცნიერო ფორუმში: „ახალი სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020“ (პირველი სამეცნიერო ფორუმი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე „საქართველო 2020“) მონაწილეობის მისაღებად ეწვივნენ. ფორუმის ძირითადი თემები იყო სტრატეგიული განვითარების დოკუმენტების იმპლემენტაცია როგორც მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალება პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებისთვის, საქართველოს რეგიონული უსაფრთხოება და ენერგო გამოწვევები 2020 წლისთვის, ასევე სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის მიმდინარეობა საქართველოში და მისი გავლენა საქართველო 2020-ის მიზნების მიღწევადობაზე.

IDFI-მ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პროექტ საქართველო 2020-ის ფარგლებში კიდევ ერთი გასვლითი ლექცია გამართა.

ლექცია წაიკითხეს პროექტის კოორდინატორმა დავით მაისურაძემ, ბრემენის (გერმანია) უნივერსიტეტის ლექტორმა, უცხოური ინვესტიციების ექსპერტმა სებასტიან ტიდემანმა, მოწვეულმა ლექტორებმა: სოფიო საჩალელმა, კონსტანტინე ნაცვლიშვილმა და თეა გერგედავამ.

10 თებერვალს, მოძრაობის თეატრში გაიმართა პროექტ საქართველო2020-ის ფარგლებში განხორციელებული ბლოგერების კონკურსის დახურვა/დაჯილდოვება. ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, კონკურსის გამარჯვებული გახდა ქეთევან კრიალაშვილი.
მასთან ერთად, IDFI-მ კიდევ ორი მონაწილე, დავით ჩიხლაძე და მანონ ბოკუჩავა დააჯილდოვა.
არაერთი საინტერესო აქტივობა განახორციელეს პროექტის სხვა მონაწილეებმაც: ანი სუბელიანმა, ვაჟა თავბერიძემ, მუხრან გულიაშვილმა, თემურ იკოშვილმა და სხვებმა.

გიორგი კლდიაშვილმა შსს-ს და პროკურატურას მიმართა

IDFI-ს დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილმა შსს-ს მიმართა, მისი საქმის შესახებ გავრცელებული არასწორი ცნობები უარყოს და ვებ-გვერდზე განათავსოს ინფორმაცია კლდიაშვილის უკანონო პატიმრობიდან განთავისუფლებისა და გამართლების შესახებ.

მან ასევე განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს ბატონ გიორგი ბადაშვილს მის წინააღმდეგ მტკიცებულებების ფალსიფიცირების საკითხზე გამოძიების დაწყების შესახებ. გიორგი კლდიაშვილი თავის განცხადებაში აღნიშნავს, რომ მას აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მასზე ხორციელდებოდა უკანონო თვათვალი, მიყურადება და მტკიცებულებების უკანონოდ მოპოვება.

გიორგი კლდიაშვილმა სამართალდამცავი ორგანოების მიერ მის მიმართ განხორციელებული უკანონო მოპყრობის ფაქტზე ზიანის ანაზღაურებაც მოითხოვა. მან 10 თებერვალს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. საქმეში მოპასუხეებს საქართველოს მთავარი პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენენ.

საქართველოს ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის მხარდაჭერის საინფორმაციო კამპანიის შეფასება და რეკომენდაციები

IDFI-მ პროექტ „ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა“ ფარგლებში მოამზადა კვლევა, რომელშიც წარმოდგენილია საეთერო ციფრულ პლატფორმაზე გადასვლის პროცესის შეფასება და ინსტიტუტის რეკომენდაციები საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით.
5 თებერვალს კი ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები მრგვალ მაგიდასთან განიხილეს.
ღონისძიებას ესწრებოდნენ როგორც არასამთავრო ორგანიზაციების, ისე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს, მედიის და იმ კომპანიების წარმომადგენლები, რომლებმაც ციფრული მაუწყებლობის გადასვლისთვის ქსელი უნდა ააგონ.

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ ზეწოლაზე

IDFI უერთდება არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებას და შეშფოთებას გამოთქვამს სამოქალაქო სექტორის წინააღმდეგ განხორციელებული ზეწოლის გამო.
2014 წლის 1 მაისს, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კამპანიაში “ეს შენ გეხება” ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციები “ქვეყნის იმიჯის შერყევაში” დაადანაშაულა და მათ საქმიანობას “ძირგამომთხრელი” უწოდა, რაც გახდა საფუძველი პოლიტიკოსთა მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული განცხადებებისა და ქმედებებისა.

მინისტრებისა და მათი მოადგილეების 2014 წლის დეკლარირებული შემოსავლები



IDFI-მ გამოაქვეყნა 2014 წელს მინისტრებისა და მათი მოადგილეების დეკლარირებული შემოსავლები. როგორც ანალიზმა აჩვენა, მინისტრების მოადგილეებს მინისტრებზე მაღალი პრემია-დანამატი ერიცხებოდათ, რასაც ინტიტუტი იმით ხსნის, რომ დანამატების გაცემის წესი მოადგილეების შემთხვევაში დარეგულირებული არ არის.

ინსტიტუტმა მოუწოდა ხელისუფლებას, საჯარო სამსახურში დარეგულირდეს არა მხოლოდ პრემირების, არამედ სახელფასო დანამატის გაცემის სისტემა და თანამდებობრივი სარგოებისა და პრემიების სისტემის ცვლილება არ იყოს ერთჯერადი ქმედება, არამედ განხორციელდეს საჯარო სამსახურის რეფორმის კონტექსტში.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს პარლამენტს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის პროექტთან დაკავშირებით

IDFI სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, არ მიიღოს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ ახალი კანონის პროექტი, მით უფრო არსებული სახით, და მასზე მსჯელობა გამართოს მხოლოდ „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ ახალი კანონის პროექტის ჭრილში და მის პარალელურად.

დავიწყება განმეორების გარანტიაა-სამდღიანი აქცია-გამოფენა

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით საზოგადოება „მემორიალმა“ და IDFI-მ გამართა სამდღიანი გამოფენა: „გასაბჭოების შედეგები საქართველოში რეპრესირებულთა სიების და ფოტოების სახით“. რუსთაველის გამზირზე, შემდგომ კი ლიტერატურის მუზეუმში ნებისმიერ მსურველს შეეძლო ეხილა რეპრესირებულთა სიები, ფოტოები და სხვა მასალა.

მსგავსი ღონისძიება საზოგადოება “მემორიალის” და IDFI-ს ორგანიზებით გასული წლის 25 თებერვალსაც გაიმართა, რომელიც საბჭოური პერიოდის პოლიტპატიმარ ქალებს ეხებოდა.

IDFI-ს შეთავაზება მთავრობას ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების ინიციატივასთან დაკაშირებით

IDFI მზადაა, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მთავრობას შესთავაზოს სარეკომენდაციო სახის დოკუმენტის მომზადება, სადაც წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებებს, თუ როგორ უფრო ეფექტური იქნება ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება და ზემოთხსენებული რისკებისგან თავის დაზღვევა.

პროექტის „ახალგაზრდებში მთავრობის გასაკოტროლებლად საჭირო ელ-უნარების განვითარება“ საბოლოო პრეზენტაცია გაიმართა

27 თებერვალს IDFI-ის პროექტის „ახალგაზრდებში მთავრობის გასაკონტროლებლად საჭირო ელ-უნარების განვითარება“საბოლოო პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციის ბოლოს, პროექტის კონკურსის მონაწილე სტუდენტებს სამახსოვრო საჩუქრები და სერთიფიკატები, ხოლო სამ გამარჯვებულს სპეციალური პრიზი-ქინდლი გადაეცათ.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს პარლამენტს

IDFI შეუერთდა არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივას და ყველა საპარლამენტო ფრაქციას საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრობის კანდიდატების დასახელებისკენ მოუწოდა.